

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სადოქტორო პროგრამა

ქართველური ენათმეცნიერება

**Kartvelian Linguistics**

ქუთაისი  
2008

**1. სადოქტორო პროგრამის დასახელება:**

ქართველური ენათმეცნიერება  
Kartvelian Linguistics

**2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:**

ფილოლოგიის დოქტორი (ქართველური ენათმეცნიერება)  
Doctor of Philological Sciences (Kartvelian Linguistics)

**3. პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტისა და სტრუქტურული ერთეულების დასახელება.** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; ქართული ენისა და ზოგადი ენათმეცნიერების დეპარტამენტი და ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

**4. პროგრამის ხელმძღვანელი:** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ტარიელ ფუტკარაძე  
ტელ.: + 995 32 79 - 79 - 46; + 995 77 71 - 78 - 11.

ვებ-გვერდი: <http://www.scribd.com/Tariel%20Putkaradze>;

ელ.-ფოსტა: putkaradze@hotmail.com.

**5. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**

**5.1. პროგრამის მიზანი.**

ჰუმანიტარული დარგების სწავლება და კვლევა ევროპის სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებსა და სკოლებში მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული კულტურის, იდენტობისა და სახელმწიფოებრივი ღირსების საკითხებთან. ქართველოლოგიის (/ლინგვისტური ქართველოლოგიის) მსოფლიოს მთავარი ცენტრი ბოლო დრომდე იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელსაც ამჟამად რამდენიმე კონკურენტი ჰყავს. მიზეზთა გამო დღეს უფრო სუსტია საზღვარგარეთული ქართველოლოგიური ცენტრებიც.

კვლევის ახალი მეთოდები და თანამედროვე ტექნოლოგიები დღეს საშუალებას იძლევა, ტრადიციულ ქართულ სამეცნიერო სკოლებზე დაფუძნებით არა მხოლოდ თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებშიც **დავიწყოთ თვისობრივად ახალი საფეხური** ქართველური ენობრივი სამყაროს კვლევისა და სწავლების თვალსაზრისით; კერძოდ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტი შეიძლება გახდეს ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური ენა-კილოების კვლევისა თუ სწავლების წამყვანი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრი; მით უმეტეს: ქუთაისის უნივერსიტეტში წარმატებით ფუნქციონირებს ქართული ენის დეპარტამენტი და ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; რაც მთავარია, ქუთაისთან ახლოსაა **ქართველური ენათმეცნიერებისთვის** საინტერესო ლინგვისტური არეალი სვანეთის, სამეგრელოს, ზემო იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, გურია-აჭარისა და შავშეთ-იმერხევის სახით, სადაც აწეს ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტს აქვს სავსე ბაზები.

დოქტორანტურა ცოდნის სინთეზისა და ახალი ხედვების კონსტრუირების პერიოდია, ამიტომაც, ჩვენი სადოქტორო პროგრამა (**ქართველური ენათმეცნიერება**) ითვალისწინებს:

- **ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური ენა-კილოების შესახებ** სამეცნიერო ლიტერატურის სიღრმისეულ შესწავლასა და სამეცნიერო პრობლემების ანალიზს (განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დარგის მიხედვით საერთაშორისო მასალის კრიტიკულ ანალიზს);

- ახალი სამეცნიერო პრობლემების წამოჭრისა და პროფესიული გადაწყვეტის გამოცდილების მიღებას;

- სამეცნიერო ნაშრომის აკადემიურ დამუშავებას;

- სადოქტორო ნაშრომის დაცვას და კვლევის შედეგების ჩართვას საერთაშორისო მიმოქცევაში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ რამდენადაც დოქტორის ტიტული უმაღლესი კვალიფიკაციის ხარისხია (მის მფლობელს საერთაშორისო დონეზე შეუძლია აკადემიური მოღვაწეობა) და საქართველო ქართველოლოგიის ცენტრობის ბუნებრივი პრეტენზიის მქონეა, ჩვენს უნივერსიტეტში გაზრდილი მეცნიერებათა დოქტორი უნდა ფლობდეს მსოფლიოში არსებულ უახლოეს მეთოდოლოგიას, რათა შეძლოს ლინგვისტური ქართველოლოგიის მიღწევათა გატანა საზღვარგარეთ.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულია **ქართული სამწიგნობრო ენის, ქართველურ ენა-კილოთა ისტორიის, ქართველური დიალექტოლოგიისა და ქართველური ონომასტიკის ძირითადი პრობლემებისა** და საქართველოს ენობრივ-კულტურული სიტუაციის ისტორიული დინამიკის შესწავლა-კვლევა; ველზე მივლინებებით ერთი რომელიმე ქართველური იდიომის პრაქტიკულად შესწავლა და ქართველური ენა-კილოების შეპირისპირებითი ანალიზი, ქართველური კილოების მონაცემთა ბაზის (ქართველური დიალექტური კორპუსის) შექმნა და სხვ.

დოქტორანტის მომზადებაში უმთავრესია **სადისერტაციო ნაშრომი**, რომელზეც მუშაობა მიმდინარეობს სწავლების მთელ მანძილზე. სადისერტაციო ნაშრომი იქნება მონოგრაფიული ხასიათის დასრულებული მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წარმოადგენდეს წინ გადადგმულ ნაბიჯს შესასწავლი პრობლემის კვლევაში.

**სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია უნივერსიტეტის პედაგოგის აღზრდა.** ლექტორის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, დოქტორანტურის გეგმაში სემინარულ მუშაობასთან შედარებით უპირატესობა ენიჭება არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით რეფერატების მომზადებას, სხვათა მოსაზრებების კრიტიკულ ანალიზსა და აუდიტორიისადმი წარდგენის **მეთოდოლოგიას**. დოქტორანტი ვალდებულია, ხელმძღვანელს დაწვრილებით წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს შედეგები რეფერატის, მოხსენებისა და სტატიის სახით. სწავლების პროცესში თავდაპირველად დოქტორანტს მიეცემა საშუალება, მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი ცოდნა, დამოუკიდებელი აზროვნებისა და ანალიზის უნარი; შემდეგ, ხელმძღვანელი ოპონენტის როლში იქნება: ხელმძღვანელის მუშაობა დოქტორანტთან გაგრძელდება აქტიური დისკუსიის ფორმატით.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამით (ქართველური ენათმეცნიერება) **დოქტორის მომზადების ნორმატიული ვადაა 3 წელი**. დოქტორის აკადემიური ხა-

რისხის მისაღებად დოქტორანტმა დოქტორანტურაში სწავლის განმავლობაში უნდა დააგროვოს 180 კრედიტი (1 კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს); აქედან, სასწავლო კომპონენტი - 45 კრედიტი (ლექციები, სემინარები, რეფერატის წარდგენა, სხვა სახის პრაქტიკული მეცადინეობები...), ხოლო დანარჩენი 135 – სამეცნიერო-კვლევითი (სამეცნიერო ნაშრომები, კოლოკვიუმები...).

## **5.2. სადოქტორო პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები.**

ქართველური ენათმეცნიერების პროგრამის გავლის შემდეგ დოქტორანტს კრიტიკულად ექნება გაანალიზებული ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, დაუფლებული იქნება წარმატებული კვლევის უნარ-ჩვევებს, შეეძლება ორიგინალური სამეცნიერო კვლევების წარმოება ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით. სადოქტორო ნაშრომის დაცვის შემდეგ მას შესაძლებლობა ექნება, მიღებული ცოდნა გამოიყენოს ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით ახალი სამეცნიერო პრობლემების დასასმელად და, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, ორიგინალური გზით გადასაჭრელად.

ასევე: დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი დაეუფლება უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგის უნარ-ჩვევებსა და მიღებული ცოდნისა თუ საკუთარი კვლევის შედეგების ეფექტური და გასაგები ფორმით წარდგენის უნარს; სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ იგი იქნება აკადემიური დონის ლექტორი; კერძოდ, დოქტორანტურის კურსდამთავრებული შეძლებს:

- წარმატებით იკვლიოს ქართული სამწიგნობრო ენა და ქართველური ენა-კილოები;
- დაწეროს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო ნაშრომები;
- ეფექტურად გამოიყენოს თავისი ცოდნა და დამატებითი რესურსები, რათა დამოუკიდებლად დაგვემოს თავისი თუ სხვათა კვლევები;
- მაღალი კომპეტენციის ფარგლებში მოამზადოს სალექციო კურსები არჩეულ სპეციალობაში და უხელმძღვანელოს ჯგუფის მუშაობას;
- თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით მოამზადოს ბიბლიოგრაფია და მონაცემთა ბაზა (სადიებლებისა და ინდექსებითურთ);
- ქართული სტანდარტული ენისა და ქართველური ქვესისტემების ენობრივი თავისებურებების ცოდნისა და თანამედროვე ტექნოლოგიების (თუ მეთოდების) გამოყენებით გაანალიზოს და გამოსაცემად მოამზადოს დიალექტური (იმერული, რაჭული, ლაზური, მეგრული, სვანური, იმერხეული, ტაოური, გურული...) ტექსტების კორპუსი და სხვადასხვა სახის სალექსიკონო მასალა;
- ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული თემების ანალიზისას ქართველოლოგიური მასალის გვერდით გამოიყენოს მომიჯნავე დარგთა მონაცემები;
- ეფექტურად წარადგინოს თავისი ცოდნა და კვლევის შედეგები სამეცნიერო საზოგადოების წინაშე;
- აკადემიური ფორმით გადასცეს თავისი ცოდნა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს და სხვ.

სადოქტორო პროგრამის ("ქართველურ ენათმეცნიერება") კურსდამთავრებულის კომპეტენციები კომპაქტურად ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ:

**ცოდნა და გაცნობიერება:** სადოქტორო პროგრამის გავლის პროცესში დოქტორანტი გაიღრმავებს მაგისტრატურაში მიღებულ განათლებას; მიიღებს ამომწურავ ცოდნას ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური ენა-კილოების ფონეტიკა-ფონოლოგიაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში. სასწავლო პროგრამის დასრულებისა და სადოქტორო ნაშრომის დაცვის შედეგად მიღებული ცოდნის, კვალიფიკაციისა და კომპეტენციის გამოყენებით კურსდამთავრებულს შეეძლება საერთაშორისო ველში არსებული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი (სწავლების უნარი):** სადოქტორო ნაშრომის დაცვის შემდეგ დოქტორს ექნება საკმარისი კვალიფიკაცია, ქართველური ენათმეცნიერების დარგები წარმატებულად ასწავლოს უნივერსიტეტსა და სხვა ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში.

**კომუნიკაციის უნარი:** ჩვენი სადოქტორო კურსის გავლის პროცესში დოქტორანტს გამოუმუშავდება თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების დახმარებით სამეცნიერო კვლევისთვის შესაბამისი ინფორმაციული წყაროებისა და ლიტერატურული მასალის მოძიებისა და გამოყენების უნარი; ასევე, შეეძლება ინტერნეტ-რესურსების გამოყენება, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, ეცოდინება ერთ-ერთი უცხო ენა.

**წარმატებული კვლევის უნარი:** პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორი დაუფლებული იქნება სისტემურ უნარებს, რაც საშუალებას მისცემს მას, იოლად შეძლოს ადაპტირება ახალ სიტუაციებში, თანამედროვე მეთოდოლოგიით იკვლიოს (იმუშავოს) ინდივიდუალურად და, საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფთან ერთად.

**პროგრამის საბოლოო შედეგი:** ქართველური ენათმეცნიერების სპეციალობით ჰუმანიტარულ/ფილოლოგიურ მეცნიერებათა დარგის ისეთი დოქტორის მომზადება, რომელიც მზად იქნება მსოფლიოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში ასწავლოს და იკვლიოს ქართველური ენათმეცნიერების, ქართველოლოგიისა და ზოგადი ენათმეცნიერების მიმართულებებით. შეეძლება, სამეცნიერო სივრცეში საანალიზოდ გამოიტანოს **არგუმენტირებული დებულებები**. სადისერტაციო თემის მიმართულებით კურსდამთავრებულს ექნება საუკეთესო ცოდნა; შეეძლება, საქართველოშიც და უცხოეთშიც დაინტერესებულ პირთ პროფესიულ დონეზე ასწავლოს ნორმირებული (სტანდარტული) ქართული ენა და ქართველური ენა-კილოები (მეგრული, ლაზური, სვანური, მესხური, ფხოური, ჰერული და სხვა ქართველური მეტყველებები).

### **5.3. დასაქმების სფეროები.**

«ქართველური ენათმეცნიერების» სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს, როგორც ქართული სამწიგნობრო ენის, ქართველური ენა-კილოების პროფესიონალ მკვლევარსა და აკადემიურ მუშაკს (ლექტორს, მეცნიერ-თანამშრომელს), მუშაობა შეეძლება:

- ნებისმიერი უნივერსიტეტის ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიურ სტრუქტურულ ერთეულში (ფაკულტეტი, ინსტიტუტი, ლაბორატორია...) და ჰუმანიტარული პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში/ცენტრში;
- ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ და მემორიალურ მუზეუმებში;
- საქართველოს ნებისმიერ ბიბლიოთეკასა და არქივში;

- საგამომცემლო ორგანიზაციებში;
- სახელისუფლებო და კერძო ორგანიზაციების მმართველობით სტრუქტურებში...

## 6. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- მაგისტრანტის დიპლომი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით;
- ქართველოლოგიური დარგების ზოგადი ცოდნა;
- ქართულენოვანი და უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისა და ანალიზის შესაძლებლობა.

თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტს, რომელსაც ექნება მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია და პრაქტიკულად ეცოდინება რომელიმე ქართველური დიალექტი: ქართული ენის ფერეიდნული კილო, ქართული ენის ინგილოური კილო, ერთ-ერთი სვანური კილო (ბალსზემოური, ბალსქვემოიური, ლენტეხური, ჩოლოურული, ლაშხური), მეგრული, ლაზური ან ერთ-ერთი მესხური დიალექტი (იმერხეული, ტაოური, ლივანური, მაჭახლური...).

## 7. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა: სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების აღწერა.

### 7.1. სასწავლო კომპონენტი (45 კრედიტი).

სადოქტორო პროგრამის ძირითად სასწავლო დისციპლინას წარმოადგენს: «ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები» (ქართული სტანდარტული ენისა და ქართველური ენა-კილოების მონაცემების სისტემური ანალიზი), რომელიც უზრუნველყოფს საკვანძო პრობლემების ირგვლივ არსებული ფაქტობრივი მასალისა და სამეცნიერო გამოკვლევების ამომწურავ ანალიზს. შესაბამისი დავალების შესრულებას დოქტორანტები მოანდომებენ პირველ და მეორე სემესტრებს: თითო სემესტრი - **5 კრედიტი**.

მეორე სემესტრში დოქტორანტს წაეკითხება **5-კრედიტიანი სპეციალური საგანი სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით**; მაგ., ქართველური ფონეტიკის მიმართულებით თემის არჩევისას - «ქართული ფონემატური სტრუქტურის პრობლემური კურსი»; ენის ისტორიის თემატიკის შემთხვევაში - «ენობრივ-კულტურული სიტუაციის ისტორიული დინამიკა საქართველოში», სტანდატიზაციის მიმართულებით თემის არჩევისას - «სამწიგნობრო ენის ნორმალიზაციის პრინციპები» და სხვ.

ასევე, დოქტორანტი საფუძვლიანად შეისწავლის სამეცნიერო ლიტერატურას მეგრულ-ლაზური და სვანური კილოების შესახებ; ასევე, პირველ სემესტრში **სავალდებულოა** ერთ-ერთი სხვა ქართველური კილოური ჯგუფის (მესხურის, ჰერულის...) არჩევა. პირველი სასწავლო წლის ბოლოს დაგეგმილია საველე-სასწავლო ექსპედიცია პროფილის შესაბამისად: ტაო-კლარჯეთში / სამეგრელოში / სვანეთში.

პირველ სემესტრშივე დოქტორანტს საშუალება აქვს აირჩიოს ერთ-ერთი საგანი ქვემოთ წარმოდგენილი ორი ჯგუფიდან: რომელიმე ფართოდ გავრცელებული უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, არაბული, თურქული...) ან ზოგადი ენათმეცნიერების საგანი სადოქტორო თემის შესაბამისად (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი...).

დოქტორანტის - უნივერსიტეტის მომავალი პროფესორის - მომზადებისას საგანგებო ყურადღება მიექცევა **დარგის სწავლების თანამედროვე მეთოდების**

**შესწავლასა და პედაგოგიურ პრაქტიკას (10 კრედიტი).**

სურვილის შემთხვევაში, დოქტორანტს მიეცემა საშუალება, დაეუფლოს ძველ სომხურს, ძველ ბერძნულს, ლათინურს, რისთვისაც გამოიყოფა კრედიტების გარკვეული რაოდენობა (სავარაუდოდ საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებისათვის გამოყოფილი კრედიტების ხარჯზე).

**სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა (სასწავლო კომპონენტი):**

№	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი:	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების რაოდენობა			
				სემესტრი			
				I	II	III	IV-VI
1	ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები - I	სავალდებულო	5	5			
2	ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები - II	სავალდებულო	5		5		
3	მეგრულ-ლაზური კილოები (თეორიული კურსი)	სავალდებულო	5		5		
4	სვანური კილოები (თეორიული კურსი)	სავალდებულო	5			5	
5	მესხური, ფხოური, ჰერული... კილოები (თეორიული კურსი): - ჰერული კილოები; - ფხოური კილოები; - მესხური (ტაო-კლარჯულ-სამცხურ-ჯავახურ-აჭარული) კილოები...	სავალდებულო	5	5			
6	სწავლების თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5			5	
7	პედაგოგიური პრაქტიკა	სავალდებულო	5			5	

8	<p><b>სპეციალიზაციის მოდული:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ენობრივ-კულტურული სიტუაციის ისტორიული დინამიკა საქართველოში;</li> <li>- ქართველური ფონემატური სტრუქტურის პრობლემური კურსი;</li> <li>- ქართველური სახელის პარადიგმა;</li> <li>- <b>ქართველური ზმნის პარადიგმა;</b></li> <li>- ქართველურ ენა-კილოთა სინტაქსი;</li> <li>- ქართველური ლექსიკოლოგია;</li> <li>- სამწიგნობრო ენის ნორმალიზაციის პრინციპები;</li> <li>- ქართველური ონომასტიკის პრობლემური კურსი...</li> </ul>	არჩევითი	5		5		
9	<ul style="list-style-type: none"> <li>- დასავლეთ ევროპული ენა;</li> <li>- ზოგადი ენათმეცნიერების საგანი (სადოქტორო თემის შესაბამისად);</li> <li>- აღმოსავლური ენა</li> <li>- იბერიულ-კავკასიური ენა</li> </ul>	არჩევითი	5	5			
	სადოქტორო დისერტაცია	სავალდებულო	135	15	15	15	90
	სულ		180	30	30	30	90

**შენიშვნა:** ასარჩევ საგანთა თითოეული ჯგუფიდან დოქტორანტმა თავისი სურვილის შესაბამისად უნდა აირჩიოს ერთი საგანი; კერძოდ, სპეციალიზაციის მოდულიდან - სადოქტორო თემის მიხედვით, უცხო ენისა და ზოგადი ენათმეცნიერების ჯგუფიდან - ერთი საგანი.

### სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

- ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

### სადისერტაციო ნაშრომის შეფასების მეთოდოლოგია

- ა) კომისიის თითოეული წევრი სადისერტაციო ნაშრომს აფასებს ზემოთმოყვანილი სისტემით;
- ბ) სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასებებს შეესაბამებათ რიცხვები 1-დან 7-მდე, შესაბამისობის შემდეგი სქემით: 1-"სრულიად არადამაკმაყოფილებელი", 2-"არადამაკმაყოფილებელი", 3 -"დამაკმაყოფილებელი", 4 - "საშუალო", 5 - "კარგი", 6 - "ძალიან კარგი", 7 - "ფრიადი";
- გ) გამოითვლება აღნიშნული რიცხვების საშუალო არითმეტიკული  $E_0$ ;
- დ)  $E$  განისაზღვრება, როგორც  $E_0$ -თან უახლოესი ნატურალური რიცხვი (თუ  $E_0$  არის  $n,5$  სახის, მაშინ  $E$  განისაზღვრება  $n+1$  -ის ტოლად);
- ე) საბოლოო შეფასება არის  $E$  რიცხვის შესაბამისი შეფასება ბ) პუნქტში მოცემული სქემის მიხედვით, თუ კომისიის წევრთა არანაკლებ  $2/3$  -ისა ნაშრომს შეაფასებს დადებითად (ე.ი. არ შეაფასებს "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" - ით ან "არადამაკმაყოფილებელი" - ით);
- ვ) საბოლოო შეფასება არის „არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა  $1/3$  - ზე მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და  $E \geq 2$ ;
- ზ) საბოლოო შეფასება არის „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა  $1/3$  მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და  $E = 1$ .